საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მითრიდატე პერგამონელი

მითრიდატე პერგამონელი, პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორის უკანონო შვილი, გაიუს იულიუს კეისრის მეგობარი. ძვ. წ. 47 კეისარმა სწორედ მას დაავალა ბოსფორის სამეფო ტახტის დაკავება. მ-მ ფარნაკე II-ის (მითრიდატე VI ევპატორის ვაჟი) მარშრუტი გაიმეორა – შეიჭრა კოლხეთში [ამ ლაშქრობას უკავშირებენ ქ. ვანის (სურიუმი) დანგრევას], აქედან გადავიდა სამცხეში, აწყურში, სადაც აინინას [ლევკოთეა, რ-იც მოსხების ქვეყანაში მდებარეობს (სტრაბონი)] ტაძარი გაძარცვა, ბოლოს ისევ დას. საქართველოდან დალაშქრა ბოსფორი. აქ ის დაიღუპა ტახტის პრეტენდენტ ასანდროსთან ბრძოლაში.

ლიტ.: თ ო დ უ ა თ., ძველი კოლხეთი და გარე სამყარო (ძვ. წ. II–ახ. წ. VI სს.) თბ., 2008; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 2, თბ., 1999; Л о м о у р и Н. Ю., Грузино-римские взаимоотношения, Тб., 1981.